ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ჭელიძის

ანგარიში 2017 წლის 15 ნოემბრიდან 218 წლის ოქტომბრის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი. ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიათა წევრი. ამ კომისიებში მუშაობის შედეგად მომზადდა მრავალი დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომებზე ინიცირებისთვის, რომელთაგან არაერთი უშუალოდ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს ეხება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;

დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;

მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ფრაქციამ სულ ჩატარდა 33 სხდომა.

ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე განხილული საკითხებია :

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის შესახებ“

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ“.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის განხილვის შესახებ“

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ელექტრონული რუკის პრეზენტაციის შესახებ“ (მომხსენებელი: გ. ტყემალაძე)

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია“ (მომხსენებლი: ა. ლაშხი)

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები; (მომხს. კ. კალაძე)

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა; (მომხსენებელი: მ. ბითაძე)

8. ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა. (მომხსენებელი: ი. ხმლაძე)

9. თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები.

10. დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები.

11. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვა.

12. „IRI“-ს კვლევების პრეზენტაციის საკითხი;

13. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)

14. შპს „ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

15. ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონში არსებული 16 ლოკაციისთვის სახელის მინიჭების საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ;

16. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსებთან შეხვედრის ორგანიზება კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

17. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)

18. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის ანგარიში.

19. პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის გამართვისათვის გასატარებელი საორგანიზაციო საკითხების შესახებ;

20. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ;

21. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობის ანგარიში.

22. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;

23. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში;

24. ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონსი 18 ლოკაციისათვის სახელის მინიჭების საკითხი.

25. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის საქმიანობის ანგარიში.

26. ჩუღურეთის რაიონში განხორციელებული პროექტის „დასაქმდი შენს უბანში“ შესაძლო ადაპტაცია სხვა რაიონებში;

27. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებელის თანამდებობიდან წასვლის საკითხი;

28. გენერალური გეგმის ხელშეკრულების გადავადება;

29. ფრაქციის ფორმატში კომისიების საქმიანობის ანგარიშების წარდგენა.

30. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და სითი ინსტიტუტთან შესაჯერებლად ქ.თბილისის მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნა.

31. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და ქ. თბილისის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავება.

32.„ფრაქციის წევრთა შორის უკეთესი კომუნიკაციისთვის ახალი ფორმატის შემუშავების შესახებ“.

33. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები;

34. დაგეგმილი პროექტების სწორი პოზიციონირება;

35. საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებთან დაკავშირებული (საკადრო) საკითხები და გახსნის კამპანია;

36. შშმ პირებისათვის მაჟორიტარების მხრიდან ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

37. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“.

38. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“. (მომხსენებელი: ი. ელოშვილი)

39. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების საშტატო ნუსხების დამტკიცების შესახებ“.

40. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების საშტატო ნუსხების დამტკიცების შესახებ“.

41. „თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ“

42. „ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცის „ქართული ოცნება - დმოკრატიული საქართველო“ წევრების სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებული გეგმებისა და წინადადებების შესახებ“

43. „საახალწლო ღონისძიებებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ჩართულობის შესახებ“.

44. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2018 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“

45. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების 2018 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებები“

46. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის ჩატარების პროცედურების შესახებ“

47. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

48. „ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ“

49. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ოფისების ფუნქციური სრულყოფის შესახებ“ (მომხს. ნ. ლაცაბიძე)

50. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების შესახებ“

რაც შეეხება კომისიებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს თბილისის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა წარმოადგენს, რაც ხორციელდება სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების შემუშავებით. კომისია ჩართულია სპორტის, როგორც სამოქალაქო ერთიანობის ხელშეწყობისა და ინტეგრაციულ პროცესებში დადებითი როლის მქონე ფაქტორის გამოყენების კამპანიაში.

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ - სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზანს;
- დედაქალაქის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;
- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.
- კომისიის საქმინობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების,

წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 19 (ცხრამეტი) სხდომა, განხილულია 55 (ორმოცდათხუთმეტი) საკითხი, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების პროექტები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების ანგარიშები, სპორტის და ახლაგაზრდულ თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამა/პროექტები და განცხადებები, მომზადებულია 16 (თექვსმეტი) დასკვნა და 19 (ცხრამეტი) კომისიის სხდომის ოქმი.

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ორგანიზება გაუწია სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეხვედრებს:

- **საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის;**

  ახალგაზრდული ფორუმი საქართველოში პირველად გაიმართა და მიზნად ისახავდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანებას.

- **ამ ეტაპზე, ფორუმის ფარგლებში დაიგეგმა და ხორციელდება შემდეგი აქტივობები:**
  - ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია - კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს";
  - ✓ მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნა;
  - ✓ საქართველოს 10 რეგიონის საკრებულოს ახალგაზრდა წევრების ვიდეო მიმართვები საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე და სხვა.

- **კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში" ფარგლებში კომისიის ორგანიზებით გაიმართა:**
  - ✓ საქართველოს მოკრივეთა 22 წლამდელთა და ძალოსანთა ნაკრების წარმატებული წევრებისა და ფედერაციების წარმომადგენლების მიღება
  - ✓ საქართველოს სამბოს ნაკრების წევრების, კონტაქტური კარატეს წარმატებული სპორტსმენების და ფედერაციის წარმომადგენლების მიღება.

- **კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს";**

  კამპანიის მიზანია სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის

ხელშეწყობა. კამპანია სექტემბრიდან განახლდა და მოიცავს ყველა რაიონის ცენტრალურ სკოლებს.

- **მუნიციპალური სპორტული ბაზის შექმნა;**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და სპორტული აქტივობების კონსოლიდაციის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს შორის (საკრებულო, მერია, გამგეობები, ა(ა)იპ-ები, სსიპ-ები), სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, ფრენბურთი, აირსოფტი, კარტინგი, მაგიდის ტენისი, ჭადრაკი, ნარდი, კიბერსპორტი, ექსტრემალური სპორტი, სამაგიდო თამაშები, სხვა) სპორტის მოყვარულათა მუნიციპალური საერთო ბაზის წარმოება დაიწყო.
პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად მონაცემების მიღება განხორციელდა. ბაზა დამუშავების პროცესშია და მისი სრულყოფის შემდეგ, სოციალრ ქსელში შეიქმნება თემატური ელექტრონული ჯგუფები, რაც გაადვილებს მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს. სპორტულ აქტივობებში ჩართვა ამ ეტაპზე გამოთქვა მუნიციპალიტეტის 330 (სამასოცდაათმა) თანამშრომელმა. ინიციატივის ფარგლებში იგეგმება ტურნირის ჩატარება.

საქველმოქმედო აქცია;

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და ორგანიზებით წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა დღის ცენტრების- ა(ა)იპ ,,ახალი ნაბიჯები“ და ,, ბეღურები’’ 150-მდე ბენეფიციასრს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და მათ საკვები პროდუქტები, ტკბილეული, სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი და საახალწლო ნობათი გადასცეს. მსგავსი აქციები პერმანენტულად კვლავ გაიმართება.

- **სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან;**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის ინიციატივით, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელებაში ჩავერთეთ. საკრებულოს წევრებმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ჩვენს სამაჟორიტარო ოლქებში ამ მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ წინადადებები მივაწოდეთ. აღნიშნული რეკომენდაციები თბილისის მერიას, გამგეობებსა და სამინისტროებს გადაეგზავნათ.

კომისიის წევრებისა და მაჟორიტარი დეპუტატების შეხვედრები ყოველ ექვს თვეში ერთხელ გაიმართება.

- **სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან;**

  შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსა და არასამთარობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

- **სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთან და მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებთან;**

  შეხვედრის მიზანი იყო დედაქალაქში სპორტის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ფედერაციებთან და ა(ა)იპ-ებთან სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

- **სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision - საქართველოს" წარმომადგენლთან;**

  შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო სექტორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ახალგაზრდული მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის განვითარება.

- **სამუშაო შეხვედრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერ ბრეტ ბაროუმენთან;**

  შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება და ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება.

- **სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.**

  შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და „ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ახალგაზრდული ფორუმის" ფარგლებში თანამშრომლობის ხედვის ჩამოყალიბება.

- **საანგარიშო პერიოდში კომისიის ორგანიზებით მოეწყო გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგი**

  მონიტორინგი ხორციელდება მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)პებში, სადაც კომისიის წევრები ადგილზე გაეცნენ მუნიციპალური ცენტრების საქმიანობას. აქტივობის ფარგლებში მოხდა (ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი" (გლდანის აუზი), ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრების მონახულება, ასევე, ,,ისანი-სამგორის კომპლექსურ სპორტულ ცენტრის" ვაზისუბანში სარაგბო კომპლექსის მშენებლობის პროცესის ადგილზე გაცნობა.

- **სამუშაო შეხვედრა „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში"**

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ახალი წარმომადგენლის გაცნობა, მისი მოსაზრებებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით სამომავლო ხედვის მოსმენა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტების გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

- **სამუშაო შეხვედრა თბილისის გენგეგმის პროექტთან დაკავშირებით**

10 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ სამუშაო შეხვედრა გამართა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით.

სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრებმა და წარმომადგენლებმა მონაწილეობა მივიღეთ შემდეგ სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში:

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ახალგაზრდული პორტალის პრეზენტაცია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული ფორუმი „ახალგაზრდობის ფორუმი 2018“, რომლის მიზანი იყო მუნიციპალური პრიორიტეტების განსაზღვრაში და პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა და თბილისში განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების მიზნით ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა.
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზებით გამართული სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ერთობლივი მსჯელობის შედეგად მოხალისეობის შესახებ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის გზების განხილვას;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი, მასშტაბური სტუდენტური პროექტი „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 - ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ“ პრეზენტაცია;
- შეხვედრა მინსკის საკრებულოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო თბილისისა და მინსკის საკრებულოებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება;
- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა მმკოორდინაციის გაუმჯობესება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე“. შეხვედრის ფორმატში, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაძლიერებაზე იმსჯელეს;
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტის განხილვის მიზნით, გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს მასობრივი სპორტის განვითარების ხედვა, არსებული გამოწვევები და პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;
- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ინიციატივით პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არაფორმალურ გარემოში, ახალგაზრდებს შეხვდნენ. დისკუსიის ფორმატში მონაწილეებმა იმსჯელეს ორ საკითხზე -

საპარლამენტო საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისთვის მექანიზმების ჩამოყალიბება (#ახალგაზრდებთან_ერთად) და ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარების პროცესში პარლამენტის როლის გაძლიერება (#ახალგაზრდებისთვის);

- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელზეც წარადგინეს კომიტეტის 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია;

- 2017 წლის 26 ივნისს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული მინი ფეხბურთის ტურნირი; ღონისძიების მიზანი იყო ნარკოტიკების მომხმარებლების, ახალგაზრდების, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთიანი ძალისხმევით ნარკომანიასთან და თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლა განათლებით, პრევენციით და ცხოვრების ჯანსაღი წესით;

- 24 ივნისს თბილისის მერიის ინიციატივით დაფუძნებულ გარბენი - „თბილისი“. აღნიშნული სპორტული ღონისძიება ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართვას ისახავდა მიზნად. ღონისძიებაში კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს სხვა წევრები ჩაერთნენ;

- ნიკოლ ბარციცის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა;

  თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში მხატვრის, ნიკოლ ბარციცის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა გაიმართა. ღონისძიება საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ გახსნა. გამოფენა ა(ა)იპ "ქართული ფონდის" ხელშეწყობით შედგა და მას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ელჩები, მთავრობისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

- სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- ა(ა)იპ "კარგი მმართველობის ინსტიტუტის" ორგანიზებითა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსებით განხორციელებულ ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის "ჩემი ხმა გადამწყვეტია" ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა;

  პროექტის მიზანი ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო-პოლიტიკურ საკითხებში განათლება, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა და ახალგაზრდების სახელმწიფოებრივ პროცესებში ჩართულობის დონის ამაღლებაა.

- თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები 11 სექტემბერს თბილსში, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, ტურინის ,,ივენტუსის“ საზაფხულო კემპის გახსნას დაესწრნენ. საზაფხულო კემპს თბილისის ზღვასთან მდებარე საფეხბურთო კლუბ ,,ზესტაფონის“ ბაზამ უმასპინძლა, პროექტი, მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.

- დედაქალაქს ახალი სპორტული ცენტრი შეემატა. 12 ოქტომბერს ნაძალადევის სპორტული ცენტრი გაიხსნა. სპორტული ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობდა 3247 კვ/მ-ზე და სრული დატვირთვის შემდეგ მოემსახურება 1000–ზე მეტ ბენეფიციარს. ნაძალადევის სპორტული

კომპლექსი მოიცავს: ჭიდაობის დარბაზს, კრივის რინგს, 2 საცურაო აუზს (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ), ფიტნეს-დარბაზს, გასახდელებს და სველ წერტილებს, კაფეს. სპორტულ მაღაზიას. ცენტრში იფუნქციონირებს ცურვის, წყალბურთის, ჭიდაობის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, აღმოსავლური ორთაბრძოლის, ფიტნესის სექციები. სპორტულ ცენტრის გახსნა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია დაესწრო აღსანიშნავია, რომ რაიონში მსგავსი ტიპის სპორტული ცენტრი აქამდე არ არსებობდა. სპორტული კომპლექსების მშენებლობის პროგრამა მიზნად ისახავს სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვას.კომისიის საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა ერთი სტაჟიორი, რომელიც მონაწილეობას იღებდა შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდა კომისიისა და საკრებულოს სხდომებს. სტაჟიორს გადაეცა ორენოვანი სერთიფიკატი.

- კომისიამ მიმდანრე წლის 14 სექტემბერს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით გამართულ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვაში მიიღო მონაწილეობა, კანონის პროექტი ემსახურება სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირება, მათ შორის, ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულორგანიზაციებთან, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა, სპორტული

საანგარიშო პერიოდში ნაძალადევის რაიონში ჩატარდა 6 სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის ტურნირები: ფრენბურთში და კალათბურთში. კულტურული და გასართობი ღონისძიებები: დედის დღის აღსანიშნავი ღონისძიება "ვაჩუქოთ დედებს", ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანისშნავი ღონისძიება - "ქალებს შეუძლიათ", ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები.

- ✓ იგეგმება სხვა სპორტული და კულურული აქტივობების ჩატარება.

კომისიის სამომავლო გეგმები

- შემოსული მასალების განხილვა და მათზე რეაგირება;
- მოქალაქეების მიღება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება და ჩატარება;
- გასვლითი სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებსა და სსიპ-ებში ინფრასტრუქტურისა და მათი საქმიანობის მონიტორინგის მიზნით;
- მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების სამუშაოების კოორდინაცია;
- კამპანიის ფარგლებში წარმატებული სპორტსმენების მიღება;
- კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“ გაგრძელება თბილისის საჯარო სკოლებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის განვითარება

- ევროპის საბჭოს ოფისთან მოლაპარაკებების დაწყება თბილისში ,,ევროპის ახალგაზრდული ცენტრის'' განთავსების შესაძლებლობაზე;
- თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საჭიროებების ერთიან კვლევასა და სტრატეგიაზე მუშაობა;
- სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან (სამაჟორიტარო ოლქებში სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ წინადადებების მოსმენის მიზნით);
- თემატური შეხვედრები: ახალგაზრდულ, სპორტულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- მჭიდრო კოორდინაცია საქალაქო სამსახურთან და რაიონულ გამგეობებთან - ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და საქმიანობის ზედამხედველობის კუთხით;
- სხვადასხვა ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა და მონაწილეობა.

რაც შეეხება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ამ საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 31 (ოცდათერთმეტი) სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა 223 განკარგულებისა და 111 დადგენილების პროექტი. მონაწილეობა მივიღე 143 განკარგულებისა და 89 დადგენილების პროექტის განხილვაში.

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის **№30-87** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **19** ივლისის **№2-1** დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მის საფუძველზე შესამუშავებელი და სხვა თანმდევ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო პაკეტი.
3. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი #11-ში (საკადასტრო კოდი 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. “2009 წლის 20 თებერვალის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ” ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის #26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. “ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის“ (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

18. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,მწვანე ქალაქის" დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

20. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

21. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

22. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

23. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობისმარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს დადგენილების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

27. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

32. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

33. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

36. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით ,,რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით ,,ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

38. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

39. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ ინიცირებები (16 საკითხი).

40. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

41. “საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

42. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

43. “გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

44. “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

45. “მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების

მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

46. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

აგრეთვე სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

ამავე დროს აქტიურად მუშაობს ჩემი როგორც მაჟორიტარის წარმომადგენლობა, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამომრჩეველთან.

წარმომადგენლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ნაძალადევი-ლოტკინის მოსახლეობის პრობლემების განხილვა. კვირაში ერთი დღე კი, კერძოდ ოთხშაბათი, გამოყოფილია ჩემთან, როგორც მაჟორიტართან მოქალაქეთა მიღებისთვის, თუმცა, წარმომადგენლობაში მათი მიღება სხვა დღეებშიც ხდება. მიმდინარეობს მათი პრობლემების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა. საჭიროების შემთხვევაში კი მოქალაქეებს შუამდგომლობა ეწევათ სხვადასხვა უწყებაში.

2017 წლის 15 ნოემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით, შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს **2,934** ადამიანს.

შეხვედრის დღეს მოსული მოსახლეობის მონაცემები		
№	**საკითხი**	**რაოდენობა**
1	სოციალური	**926**
2	ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა	**325**
3	დასაქმება	**607**

მოქალაქეთა დანარჩენი ნაწილი მოსულია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის რეკომენდაციის, შუამდგომლობის და სხვადასხვა თხოვნით. ხოლო იურიდიულ-სამართლებრივ საკითხზე მოსულებს, გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

ამ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოვიდა **141** განცხადება, რომლებიც ეხება ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მედიკამენტის დაფინანსებას, საშენი მასალის გამოყოფას, კეთილმოწყობას და სხვ. მათგან უმეტესი დაკმაყოფილებულია.

მოსული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამისამართდა შესაბამის სტრუქტურებში. დანარჩენებს კი გაეწიათ სიტყვიერი კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მივდივართ და ვეცნობით თითოეული მოქალაქის პრობლემას.

საბავშვო ბაღების სიმცირესთან დაკავშირებული მწვავე პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენი თანამონაწილეობით აშენდა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი ძველი ნაძალადევი-ლოტკინის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ე.წ. „სანერგე მეურნეობის დასახლებაში“, ასევე მომავალი წლის იანვრიდან, არსებული 43-ე ბაგა-ბაღის ადგილას იწყება ახალი ბაღის მშენებლობა და თბილისს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების საბავშო ბაღი შეემატება.

სისტემატიური შეხვედრები გვაქვს ხანდაზმულ ადამიანებთან, ვეტერანებთან. აღდგომა მივულოცეთ და საჩუქრები გადავეცით რაიონში მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებს. აგრეთვე, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მივულოცეთ რაიონში მცხოვრებ ომის ვეტერანებს და მათ ქ. თბილისის მერიისგან საჩუქრები, ხოლო საქართველოს პრემიერ მინისტრისგან, ბატონ გიორგი კვირიკაშვილისგან, მისალოცი წერილები გადავეცით.

ჩვენი ინიციატივით, ნაძალადევის რაიონში დასაქმების ფორუმი გაიმართა. ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იყო ორგანიზებული, 15 -მდე კომპანიამ სამუშაოს მაძიებელთათვის 1500 მდე აქტიური ვაკანსია წარმოადგინა.

თავისუფალი სამუშაო ადგილები მომსახურების, გაყიდვების, სამშენებლო და ტურიზმის, ასევე ტექნიკური მიმართულების სფეროებში იყო წარმოდგენილი. დარეგისტრირდა 200 მაძიებელი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღონისძიების ფორმატი რეალური დამსაქმებლისა და სამსახურის მაძიებლის დაკავშირებას ითვალისწინებს.

მოქალაქეთა სოციალური და სხვა პრობლემების პარალელურად, მაჟორიტარის წარმომადგენლობაში განიხილება ნაძალადევის რაიონის კეთილმოწყობის და სხვა საკითხები.

ჩვენს ოლქში, საანგარიშო პერიოდში, ჩვენი შუამდგომლობით განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. ესენია:

ქუჩები :

1) თიგიშვილის 1-ლი შესახვევი;
2) ძმობის 1-ლი და მე-2 ჩიხი;
3) გარეჯის ქ. კომუნიკაციებით;
4) ინანიშვილის ქ.
5) ზედაუბნის ქ.
6) ლოტკინის მთის (ზღვის უბანი) 204, 205, 225, 226 კორპუსებიდან ლოტკინის დასახლებასთან დამაკავშირებელი გზა. მოხდა გზის კაპიტალური მოწყობა.

საყრდენი კედლები:

1) ღუდუშაურის ქ. 9-13;
2) ჟღნტის 91;

აგრეთვე დამონტაჟდა 80 საპარკე სკამი.

ამჟამად მიმდნარეობს შემდეგი ქუჩების და სკვერების რეაბილიტაცია:

ქუჩები:

1) ლოტკინის ხევი;
2) სართანია;
3) კობალაძე;

სკვერები:

1) მესხის და ხუდადოვის კვეთაზე;
2) დადიანის 65-ის წინ;

მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, ამავე რაიონის გამგეობის უბნის სამსახურთან და ყველა შესაბამის სტრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საქმეში.